საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი- კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ქ. ყ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.05.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 043/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ჩ. - ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ჩ. - ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 17 მაისს საჩივრით მომართა ქ. ყ. - მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ჩ. - ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის არის პროფესიით იურისტი, რომელიც დასაქმებულია შპს „*********“-ში. დამსაქმებელი კომპანიის მხრიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოში არაერთხელ იქნა სარჩელები აღძრული მისი გაფიცვის უკანონოდ ცნობასთან დაკავშირებით. ქ. ყ. - ის განმარტებით, აღნიშნულ დავებში, დამსაქმებელ მხარეს, შპს „*********“-ს თბილისის საქალაქო

სასამართლოში წარმოადგენდა მისი კოლეგა, ადვოკატი თ. ჩ. , რომელმაც მის მიმართა არაერთხელ გამოიჩინა არაკოლეგიალური საქციელი და ულახავს პატივს, ასევე პროფესიულ ღირსებას.

1.3 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატმა თ. ჩ.-მ, თავისი ხელმოწერით შეადგინა სხვადასხვა იურიდიული დოკუმენტი, სადაც მას აყენებს შეურაცხყოფას, კერძოდ: 10.10.2021 წლის სარჩელი; 13.01.2022 წლის განცხადება; 28.04.2022 წლის სარჩელი; 05.12.2022 წლის განცხადება.

1.4 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატი თ. ჩ. მის მიმართ დამოკიდებულებით არღვევს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს და ითხოვს მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა თ. ჩ.-მ 2023 წლის 23 მაისს ეთიკის კომისიაში მის მიმართ ქ. ყ.-ის საჩივართან დაკავშირებით წარმოადგინა წერილობითი პოზიცია, სადაც განმარტა, რომ არ ეთანხმება საჩივარს, რადგან საჩივარში მოყვანილია არასწორი ფაქტები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2021 წლის 24 ივნისიდან შპს „*********“-ში დასაქმებული ქ. ყ. არ ცხადდებოდა სამსახურში და არ ასრულებდა დამსაქმებელთან გაფორმებულ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს. აქედან გამომდინარე, დამსაქმებელმა შრომით სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირების მიზნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. აღნიშნულ საქმეში, ის როგორც ადვოკატი წარმოადგენს შპს „*********“ -ს ინტერესებს. ადვოკატის პოზიციით, საჩივრის ავტორმა საჩივარს დაურთო დოკუმენტაცია, სადაც დაფიქსირებულია მისი მარწმუნებლის - შპს „*********“-ს პოზიცია, რომელშიც არც პირდაპირ და არც ირიბად არ არის ჩამოყალიბებული შეურაცხმყოფელი შინაარსის ტექსტი, რომელიც შელახავდა მოწინააღმდეგე მხარის პატივსა და ღირსებას. ადვოკატის პოზიციით, ქ. ყ.-ს საჩივარში არ აკონკრეტებს, თუ რომელი წინადადება და გამონათქვამი ითვლება შეურაცხყოფად და ლახავს მის პატივსა და ღირსებას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მიხედვით, საქმეზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, რადგან ქ. ყ. დავის პერიოდში არ იყო ადვოკატი და არ ირიცხებოდა წევრთა ერთიან სიაში.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. ჩ. არის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო.

3.2 ქ. ყ. - მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 17 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021-2022 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისათვის მომართვის კანონით დადგენილი 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ჩ. - ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ თ. ჩ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა თ. ჩ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტაციით (10.10.2021 წლის სარჩელი; 28.04.2022 წლის სარჩელი; 13.01.2022 წლის განცხადება; 05.12.2022 წლის განცხადება) განახორციელა მისი, როგორც ადვოკატის პატივის, ასევე პირადი და პროფესიული ღირსების შელახვა.

5.2 სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა ერთიანი სიის მონაცემების თანახმად, ქ. ყ.-ს ადვოკატია 2022 წლის 7 დეკემბრიდან და მის მიმართ ადვოკატ თ. ჩ.-ს კოლეგიალობის ვალდებულება წარმოეშობა სწორედ ამ თარიღიდან. ვინაიდან საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ყველა სადავო დოკუმენტაცია ადვოკატ თ. ჩ.-ის მიერ შედგენილია 2022 წლის 7 დეკემბრამდე, ადვოკატ თ. ჩ.-ის ქმედება შეფასდა პროცესის მონაწილის მიმართ პატივისცემის ეთიკური ვალდებულების ფარგლებში. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ჩ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე:

5.2.1 ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს პროცესის მონაწილეთა უფლებები („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).

5.2.2 ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს („ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, მუხლი 9.1).

5.2.3 ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას („ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“, მუხლი 9.4).

5.2.4 ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 38.4).

5.3 „ადვოკატების განსაკუთრებული სტატუსი, მათ ანიჭებთ ცენტრალურ პოზიციას მართლმსაჯულების განხორციელებაში, როგორც შუამავლებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის“ (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, საქმეებზე *Nikula v.*

Finland, N, 26.06.2002, §45; Amihalachioaie v. Moldova, N, §27; Kyprianou v. Cyprus N, 15.12.2005, §173; André and Another v. France, N, 24.07.2008, §42).

5.4 „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.09.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე№11/6/561,568, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

5.5 „ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 03.12.2006 წლის გადაწყვეტილება, საქმე №2317/12/06).

5.6 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ როდესაც საჩივრის ავტორი დავობს ადვოკატის მხრიდან მისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, მას ეკისრება მოპასუხე ადვოკატის სადავო ქცევის ფაქტის მტკიცების ტვირთი. საჩივრის ავტორმა, ამჟამად ადვოკატმა ქ. ყ.-მა ეთიკის კომისიას თავისი პრეტენზიის დასადასტურებლად წარმოუდგინა დოკუმენტაცია: 10.10.2021 წლის სარჩელი; 28.04.2022 წლის სარჩელი; 13.01.2022 წლის განცხადება; 05.12.2022 წლის განცხადება. თავის მხრივ, მოპასუხე ადვოკატს სადავოდ არ გაუხდია მტკიცებულებათა ავთენტურობა, რაც კომისიას აძლევს შესაძლებლობას შეაფასოს დოკუმენტაციის შინაარსი. რადგან საჩივრის ავტორს საჩივარში არ დაუკონკრეტებია, თუ რომელი ფრაზეოლოგია მიაჩნია მას შეურაცხმყოფელად, კომისიამ შეაფასა დოკუმენტაცია სრულად.

- *13.01.2022 წლის განცხადებაში მითითებულია - „მიუხედავად იმისა, რომ ქ. ყ.-მა დღემდე ვერ უზრუნველყო ყოვლად უსაფუძვლო და ცილისმწამებლურ ბრალდებებთან/მოთხოვნებთან დაკავშირებით ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა და შესაბამისი განმარტების გაკეთება, თუ რას გულისხმობდა თითქოსდა კომპანიის კონკრეტულ პირთა მხრიდან განხორციელებულ სისტემური განგრძობადი ხასიათის დევნა/შევიწროებაში, დისკრიმინაციულ მოპყრობასა და სხვა ტიპის ბრალდებებში, რომლებსაც დაუსაბუთებლად უყენებდა კომპანიას. კომპანიის გენერალურმა დირექტორმა დააკმაყოფილა ამავე კომპანიის დირექტორის ტექნიკურ საკითხებში ბატონი ... მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დაფიქსირებული თხოვნა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ქ. ყ.-ს საპატიოდ ჩაუთვალა განვლილი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული მოქმედებები, მათ შორის სამსახურში გამოუცხადებლობა“. „აქვე*

*საყურადღებოა ქ. ყ.-ის წარმომადგენლის ... 2022 წლის 12 იანვრის მიმართვა, რომლიც მიხედვითაც სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარ შრომის ინსპექტორს ბატონ ... და ასევე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფროსს ქალბატონ .... თხოვს მისი მიმართვების საფუძველზე შპს „********* "-ს მიმართ დაწყებული წარმოების შეწყვეტას მხარეთა შორის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირების საფუძვლით".*

- *05.12.2022 წლის განცხადებაში აღნიშნულია: „საქმესთან მიმართებაში გაცნობებთ, რომ ქ. ... აგრძელებს აბსურდულ საკითხებზე აპელირებასა და კომპანიის ხელმძღვანელი თუ რიგითი თანამშრომლების შეურაცხყოფას, ამ არაკოლეგიალური დამოკიდებულების გამომჟღავნებით, უხეშად არღვევს კომპანიაში არსებულ ე. წ. ქცევის სტანდარტს. ამასთან, თავის წერილებში კონკრეტულ საქმესთან შემხებლობაში არმყოფი პირების ადრესატად მითითებით აქტიურად განაგრძობს კომპანიის იმიჯისა და საქმიანი რეპუტაციის ყოვლად უსაფუძვლოდ შელახვას".*

- *„მიუხედავად შპს „********* "-ს მხრიდან გადადგმული ჰუმანური და ლოიალური ნაბიჯებისა, კერძოდ: კომპანიის მხრიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან სარჩელის გამოხმობა (ინფორმაციისათვის იხილეთ დანართით წარმოდგენილი სარჩელი და შესაგებელი), ქ. ყ.-ის ჩვეულ სამუშაო რეჟიმში დაბრუნება, პირადი განცხადების დაკმაყოფილების გზით, კომპანიის ტექნიკური ზედამხედველობის და მშენებლობის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის ახალი მშენებლობის ხარისხის მართვისა და კონტროლის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის პოზიციიდან ქსელის განვითარების ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე ა/წლის 12 იანვრიდან გადაყვანა, შრომის ანაზღაურების 10%-იანი მატება, 2021 და 2022 წლების 48 დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით, მისთვის მისაღებ პერიოდში სრულად სარგებლობა. ასევე, კომპანიამ საპატიოდ ჩაუთვალა 2021 წლის ივნისის თვიდან ამავე წლის დეკემბრის ჩათვლით გამოუცხადებლობისა და სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმის პერიოდი და ე. წ. „მეცამეტე ხელფასთან" ერთად ჩაურიცხა ამ დროის მონაკვეთისათვის განსაზღვრული თანხაც. სწორედ ზემოაღნიშნულის შედეგად მისი მხრიდან მოჰყვა სსიპ „შ. ი. ს." -ში მიმდინარე წარმოების შეწყვეტის შუამდგომლობის წარდგენა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისევ, სამსახურში დაბრუნების შემდგომ, ა/წ 15 თებერვლიდან აგრძელებს ანალოგიური აბსურდული რიტორიკით საუბარს, ერთპიროვნულად შეთხზული ტყუილი გარემოებების დაფიქსირებასა და შემდგომ მათზე აპელირებას, რომელიც პირდაპირ მიმართულია დემაგოგიისა და მესამე პირთა შეცდომაში შეყვანისაკენ. ყოვლად გაუგებარი და ამავდროულად მიუღებელია მოპასუხის მიერ წერილში დაფიქსირებული არარსებული გარემოებების ირგვლივ აპელირება"; „ქ. ყ. დაფიქსირებული მომართვებით არ იცავს შრომის კოდექსის, შინაგანაწესის დებულებებითა და კომპანიაში დადგენილი ქცევის სტანდარტებს/პროცედურებს და ამ მხრივაც, შრომით სამართლებრივი ურთიერთობის უხეშად დამრღვევი მხარის პოზიციიდან ცრუ და უსაფუძვლო ბრალდებებს უყენებს კომპანიას. კომპანიის დირექტორატის აქტიური ჩართულობით გადაიდგა არაერთი ჰუმანური ნაბიჯი, გატარდა მოპასუხის მიმართ სოციალური პოლიტიკა, რომლის შედეგადაც ქ. ყ. დაუბრუნდა ჩვეულ სამუშაო რეჟიმს, თუმცა სამწუხაროდ, ისევ გადაწყვიტა კომპანიის მისამართით აბსურდული მოთხოვნებისა და ულტიმატუმების წაყენება".*

- *10.10.2021 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ სარჩელში ადვოკატმა თ. ჩ.-მ აღნიშნა, რომ „ქ. ყ.-მ., სწორედ კომპანიის მონიტორინგის მხრიდან, გასაუბრების მიზნით დაბარების შემდგომ, მანამ სანამ მისთვის ცნობილი გახდებოდა წარმოების შედეგები, გადაწყვიტა პრევენციის მიზნით, ჩამდგარიყო თავდაცვის რეჟიმში და ამ გზით უსაფუძვლოდ თავს დასხმოდა კომპანიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელ პირებს, ამ მხრივ დაფუძნებული ბრალდებებითა და შეთხზული წერილებით მომართა კომპანიას, რა დროსაც მრავალჯერ შელახა, არა მარტო შპს „********“-ს, არამედ ამ ორგანიზაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა რეპუტაცია, პატივის და ღირსება.“ „ამასთან, მოპასუხემ ვერ უზრუნველყო განემარტა, თუ რას გულისხმობდა „კომპანიის კონკრეტულ პირთა მხრიდან განხორციელებულ სისტემურ და განგრძობადი ხასიათის დევნა/შევიწროებაში“, დისკრიმინაციულ მოპყრობასა და სხვა ტიპის ბრალდებებში, რომლებსაც დაუსაბუთებლად უყენებდა კომპანიას. ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, კომპანიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსს ცილს სწამებდა/სწამებს სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერის მოთხოვნაში მაშინ, როდესაც სწორედ მისი იურიდიული დეტარტამენტის უფროსის წარდგინებითა და რეკომენდაციის საფუძველზე დაიდო და შემდგომში გაგრძელდა მოპასუხესა და შპს .... შორის შრომით სამართლებრივი ხელშეკრულება, რომლის შედეგადაც მოპასუხე დაფიქსირდა კომპანიის საშტატო ნუსხაში, მიუხედავად კომპანიის მხრიდან გადადგმული ნაბიჯებისა, მოპასუხე აგრძელებს უსაფუძვლო ბრალდებების წაყენებას, შანტაჟის ენით საუბარს, თავისი პოზიციის გასამყარებლად მოფიქრებული ტყუილი გარემოებების დაფიქსირებას შპს.... და მისი თანამშრომლების პატივის, ღირსების, იმიჯისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვას და სხვადასხვა უწყებებისთვის უსაფუძვლო მიმართვას. ასევე, მოპასუხის მიერ ინიცირებული დავის ფარგლებში დაფიქსირებული პრეტენზიების ფონზე წერილობითი მომართვის დროს ფაქტობრივად ზრდიდა მოთხოვნებს და ცვლიდა განსახილველად წარმოდგენილს საგანს“. „ქ. ყ.-მ უსაფუძვლო ბრალდებების წაყენებით, შანტაჟის ენით საუბრით, თავისი პოზიციების გასამყარებლად მოფიქრებული ტყუილი გარემოების დაფიქსირებით მრავალჯერ შელახა არა მარტო შპს-ს, არამედ დასაქმებულ თანამშრომელთა პატივი და ღირსება“. „მოპასუხის მიერ უვადოდ დაწყებული უკანონო გაფიცვის მთავარი მიზეზები და არსი ნათლად გამოჩნდა მის ბოლო წერილებში, რა დროსაც მოპასუხე უკვე იმყოფებოდა გამოუვალ მდგომარეობაში, ვერ ასაბუთებდა პირველ წერილში წამოჭრილ საკითხებს და თავდაცვით რეჟიმში მყოფმა, დაფიქსირებული მძიმე და უსაფუძვლო ბრალდებების ფონზე, აღარ ისურვა ჩვეულ სამუშაო რეჟიმში დაბრუნება და დაიწყო სისტემატური და განგრძობადი უსაფუძვლო ულტიმატუმებისა და აბსურდული შინაარსის ბრალდებების შემცველი წერილების გამოგზავნა და დაიწყო კომპანიის თანამშრომლების უუნარობაში დადანაშაულება, შეწყვიტა სამუშაო პროცესში მონაწილეობის მიღება მისი მრავალგზის გაზრდილი და შეცვლილი მოთხოვნების სრულად შესრულებამდე. ასევე, იძულებით ითხოვს კომპანიის მხრიდან დაწინაურებას, ხელფასის მატებასა და მონიტორინგის და იურიდიული საკითხებში დირექტორის მოადგილედ, იურიდიული დეპარტამენტის კურატორობის კუთხით დანიშვნას“.*

5.7 საპროცესო კოლეგიის შეფასებით სარჩელსა თუ განცხადებებში არსებული ინფორმაცია, რომელიც მიემართება ქ. ყ. - ისადმი, ძირითადად გამოხატავს შეფასებით მოსაზრებებს საჩივრის ავტორის ქმედებებზე. კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატმა გააჟღერა კლიენტის - შპს „*********“-ს პოზიცია იმ ფორმით, რაც დაცულია აზრის გამოხატვის თავისუფლებით. ამასთან, ადვოკატი სარგებლობს იმუნიტეტით იმ გამონათქვამების მიმართ, რომელიც მან გააკეთა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ადვოკატ თ. ჩ.-ს არ დაურღვევია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 (გ) მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1 და 9.4 მუხლებით დადგენილი პროცესის მონაწილის პატივისცემის ეთიკური ვალდებულება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №043/23 ადვოკატ თ. ჩ. - ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/